შპს „ეკოფრე“

(საიდენტიფიკაციო N404956874)

მმართველობითი ანგარიში

1. **საწარმოს ძირითადი საქმიანობა**

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ჩამდინარე და სასმელი წყლის გამწმენდი სისტემების მშენებლობა, ჩამდინარე და სასმელი წყლის გამწმენდი სისტემების დანადგარებისა და მათი ნაწილების იმპორტი და რეალიზაცია, ჩამდინარე და სასმელი წყლის გამწმენდი სისტემების და მათი ავტომატური მართვის სისტემების პროექტების მომზადება, მომსახურება (სასმელი წყლის გაწმენდა და ჩამდინარე წყლის გამწმენდი სისტემების სერვისი).

2. **ინფორმაცია კომპანიის შესახებ:**

2.1. კომპანია დაფუძნებულია 2012 წლის 4 სექტემბერს, ორი ფიზიკური პირის მონაწილეობით, კერძოდ ელენე ფოცხიშვილის (80% წილის მფლობელი) და პაპუნა ჯავახიძის (20% წილის მფლობელი) მიერ. 2017 წლის 6 თებერვლიდან 80% წილის მფლობელს წარმოადგენს დავით ფოცხიშვილი.

2.2. საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- ჩამდინარე წყლის გამწმენდი სისტემების მშენებლობის და სერვისის განყოფილება;
- სასმელი წყლის გამწმენდი სისტემების მშენებლობის და სერვისის განყოფილება;
- ავტომატური მართვის სისტემებისა და პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილება;
- საპროექტო განყოფილება;
- საფინანსო განყოფილება;

3. **ბიზნეს გარემოსა და რუსკების მიმოხილვა:**

3.1. კომპანია მომსახურებისა და პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს საქართველოში და მოიცავს მის ყველა რეგიონს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მომსახურება და პროდუქცია სპეციფიკურია ბაზარზე კონკურენცია მაინც აქვს. ჩვენი კომპანია დღეისათვის კარგად ართმევს თავს ამ კონკურენციას მომსახურებისა და პროდუქციის მაღალი ხარისხის ხარჯზე.

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნესს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც დამახასიათებელია უფრო მეტად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. დაბალია მოსახლეობისა და მეწარმე სუბიექტების მსყიდველუნარიანობა. სახელმწიფო შეკვეთებში უმრავლეს შემთხვევასი გამოვდივართ სუბკონტრაქტორების სახით.

მსოფლიო ეკონომიკაში კრიზისმა შესაძლოა გავლენა იქონიოს იმპრტული პროდუქციის ფასზე და მოწოდების პირობებზე, რაც უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე და მენეჯმენტზე.

ვალუტის კურსის მერყეობა გავლენას ახდენს პროდუქციის თვითღირებულებაზე, მომსახურებასა და პროდუქციაზე ფასების ზრდა ბაზრის მოცულობას შეამცირებს, რაც გაზრდის ბიზნესის რისკებსა და შეამცირებს რეალიზაციის სტაბილურობას.

3.2. ზემოთ აღნიშნული რისკების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად, ხელმძღვანელობას შემუშავებული აქვს გეგმა-ღონისძიებები, კერძოდ:

- ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება და დანერგვა, რაც უზრუნველყოფს ხარისხის სტაბილურობას, ენერგომატარებლების მოხმარების ეკონომიურობას და ექსპლოატაცის ხარჯების შემცირებას;
- გაყიდვების ზრდის მიზნით, პროდუქციის რეალიზაციის პროცესში აქტიურად ჩაერთონ საფინანსო კომპანიები და მომხმარებლებს საქონლის ღირებულების დასაფარად სხვადასხვა ფინანსური პროდუქტის (სესხი, ლიზინგი და სხვა) გამოყენების საშუალება ჰქონდეთ;
- მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია მრავალი მარკეტინგული აქტივობა, რისთვისაც კომპანიას გამოყოფილი აქვს მნიშვნელოვანი სახსრები. დაწყებულია მუშაობა კომპანიის სოციალური ქსელების მეშვეობით შეკვეთების მიღების გასაზრდელად და კომპანიის მიერ ორგანიზებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის დროულად და ხარისხიანად მისაწოდებლად.

4. პროდუქციის ხარისხი:

4.1. როგორც, ჩვენს მიერ ექსპლოატაციაში გადაცემულ ჩამდინარე და სასმელი წყლის გამწმენდი სისტემების ობიექტებზე, ასევე ჩვენს მიერ სასმელი წყლის გაწმდის ობიექტზე, სისტემატურად, ხოლო ზოგიერთ მათგანზე ყოველთვიურად ხდება სინჯების აღება და მათი ლაბორატორიული გამოკვლევები. ანალიზების პასუხები ყველა შემთხვევაში შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებთან.

5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები:

5.1. კომპანიაში ამ ეტაპზე რაიმე კვლევები არ ტარდება.

6. სოციალური პროექტები:

6.1. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას და ზრუნავს თანამშრომელთა შრომის პირობებზე.

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს.

შპს „ეკოფრეს“

დირექტორი /პაპუნა ჯავახიძე/

შპს-ის „ეკოფრე“ (საიდენთიფიკაციო კოდი N404956874) ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 31 დეკემბრისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „ეკოფრე" (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2012 წლის 06 სექტემბერს.

1.2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

– ჩამდინარე და სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა;

– ჩამდინარე და სასმელი წყლის სისტემების და მათი მარაგნაწილების რეალიზაცია;

– ჩამდინარე და სასმელი წყლის სისტემების მომსახურება;

– სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

1.3. საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება;

1.4. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

– საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები;

1.5. საწარმოს სტრუქტურა:

– ჩამდინარე წყლის სისტემების განყოფილება;

– სასმელი წყლის სისტემების განყოფილება;

– მართვის სისტემების და პროგრამირების განყოფილება;

– საპროექტო განყოფილება;

– ტექნიკური და ეკონომიკური ქვედანაყოფები.

1.6. საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, შ. ნუცუბიძის ქ., N2, ბინა N1.

1.7.საწარმოს დამფუძნებლები: პაპუნა ჯავახიძე, 20% წილის მფლობელი და დავით ფოცხიშვილი 80% წილის მფლობელი.

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

კომპანიის მიერ შექმნილი სისტემები და მათი მარაგნაწილები პროდუქცია იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით. დღეისათვის საწარმო თავისი ერთ-ერთი საუკეთესოა ამიერკავკასიაში.

კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, საწარმო ფინანსურად სტაბილურია და მას შეუძლია საკუთარი სახსრებით გააგრძელოს კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

3.1. საწარმოს მიერ 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად მოხდა პირველად. 4.2. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

3.2. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)" - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.

3.3. საწარმოს წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.4. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის – ფინანსური ინფორმაცია.

3.5. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

3.6. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- მმართველობით ანგარიშს.
- განმარტებით შენიშვნებს.

4. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

4.1. ფულადი სახსრები:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე, **პირდაპირი მეთოდით;**

4.2. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

4.3. შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

4.4. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი:

საწარმოს გააჩნია ტექნოლოგიური მოწყობილობების შესაძენად გადარიცხული თანხების ნაშთი, რომელიც პერიოდულად იხურება ტექნოლოგიური მოწყობილობების მიღებით. წლის ბოლოსათვის გადახდილ ავანსებს დაემატა ავანსად გადახდილი გადასახადები:

დასახელება	ანგ. №	31.12.2019 წ	31.12.2020 წ
მომწოდებლ. გადახდილი ავანსი	1480	0	246611.42
ავანსად გადახდილი გადასახადები	1485	3542.77	4362.36

4.5. საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა თვითღირებულების მოდელით, თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით;

4.6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით.

4.7. დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა მიხედვით.

4.8. მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით;

4.9. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. საწვავი ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

4.10. საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია.

4.11. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით;

4.12. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

4.13. სხვა გრძელვადიანი აქტივები:

მსს ფასს-ის 29-ე განყოფილების თანახმად საგადასახადო მოგებასა და ფინანსურ მოგებას შორის დროებითი სხვაობების შედეგად გადასახდელი და გაანგარიშებული გადასახადებს შორის სხვაობა აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

ვინაიდან წინა პერიოდებში, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, მოგების გადასახადის გასაანგარიშებელი ბაზა არსებითად განსხვავედებოდა ფინანსური მოგების გაანგარიშების პრინციპისაგან, ბუნებრივია წარმოიშვა გადავადებული საგადასახადო აქტივი. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნული თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აკუმულირებულია ერთ ანგარიშზე და წარდგენილ ანგარიშგებაში გრძელვადიან აქტივებთან (გრძელვადიანი პროექტები) ერთად აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

4.14. სავაჭრო ვალდებულებები:

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია პირვანდელი ღირებულებით.

4.15. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

საწარმო, მსს ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნების სრული დაცვით აღრიცხავს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს. მოცემული სტანდარტის

გათვალისწინებით, საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის დარჩენილი არა აქვს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გადახდის ვალდებულება.

4.16. გამოუმუშავებელი შემოსავალი:

საწარმოს ავანსად აქვს მიღებული 2993014.84 ლარი (ანგ. N3120), რაც ასახული იქნა გამოუმუშავებელ შემოსავალში.

4.17. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები 31.12.2020 წლისათვის შედგებოდა სს „ბაზისბანკისგან" მიღებული სესხის ნაშთისგან - 1591685.2 ლარი და დამფუძნებლისგან მიღებული სესხის ნაშთისგან - 88190 ლარი.

5. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

5.1. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

5.2. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

5.3. როგორც ზემოთ აღინიშნა, მასალების ხარჯი აღირიცხება ნორმის მიხედვით და კომპიუტერული პროგრამა „ორისის" მეშვეობით ავტომატურად ჩამოიწერება დაუმთავრებელ წარმოებაზე (სამშენებლო პროექტები), ან ხარჯის ანგარიშზე რეალიზაციის მომენტში. შესაბამისად იგი ხარჯად აღიარდება, პროდუქციის რეალიზაციისას. ამდენად მატერიალური დანახარჯები შედის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში და მარაგების ცვლილების მუხლებში შეტანილი მონაცემები, ხარჯების გაორების თავიდან აცილების მიზნით, ვერ დაემატებოდა თვითღირებულებას.

5.4. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით". დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

მსს ფასს შესაბამისად დასაბეგრი და ფინანსური მოგების სხვაობის შედეგი აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით. ვინაიდან ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობით მოგების გადასახადის ბაზას არ წარმოადგენს მიიღებული მოგება, ხოლო ფინანსურ მოგების გადასახადთან სხვაობის აღრიცხვის წესი განსახილველი შემთხვევისათვის რაიმე ინსტრუქციით ან სხვა სარეკომენდაციო ხასიათის მეთოდური მითითებით რეგლამენტირებული არ არის, საწარმომ მიზანშეწონილად მიიჩნია ფინანსური შედეგები (საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი) შეამციროს მხოლოდ საანგარიშგებო წელს დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადით, ხოლო დარჩენილი თანხა გადაიტანოს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე.

5.5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აღიარებულია შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ხოლო, ჩამოწერა ხორციელდება „საშუალო შეწონილი" ღირებულებით. ამასთან, ნედლეული და მასალები ჩამოიწერება დაუმთავრებელ წარმოებაზე ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით და კონტროლდება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად; ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნედლეული და მასალების ხარჯი

ტექნოლოგიური მიზნისათვის, აგრეთვე, დამხმარე მასალები ჩამოიწერება პროდუქციის თვითღირებულებაზე ფაქტობრივი ხარჯვის შესაბამისად.

ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის ხარჯი დაუმთავრებელი წარმოების დანახარჯებში შეიტანება საანგარიშო ზედნადები ხარჯების სახით,

6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

6.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გამიჯნულადაა ასახული ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან;

6.2. ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია ამონაგები პროდუქციისა და მარაგების რეალიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან;

6.3. საოპერაციო საქმიანობიდან ფულად ნაკადებში გათვალისწინებული არ არის ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან და დანახარჯები ძირითადი აქტივების შეძენასა და მონტაჟზე;

6.4. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებში შეტანილია საგადასახადო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული გადახდები;

6.5. ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვა ფინანსური ოპერაციები;

7. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

7.1. 2020 წელს საწარმოს კაპიტალში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა.

7.2. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ 1282791 ლარი შეადგინა. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე.

8. დასკვნითი ნაწილი

8.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2021 წლის 28 სექტემბერს;

8.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

კომპანიის დირექტორი — პაპუნა ჯავახიძე

ბუღალტერი — ზურაბ ქურდოვანიძე

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	516463	1224793
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1406354	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	667107	274008
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-222784	1498801
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	24106	9133
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1645111	137177
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1446433	1645111

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1446433	1645111	137177
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	356283	215435	279406
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული	574687	624324	13339
მარაგები	2654560	1548878	656551
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	2654560	1548878	656551
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	854035	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	3485	0	0
ძირითადი საშუალებები	989234	986708	585232
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	16547	96602	146005
სულ აქტივები	6895264	5117058	1817710
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	13423	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	124947	27044	113399
ანარიცხები	54514	6737	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	367	41242
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	2993015	3365502	622708
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1591684	851822	491515
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	2966	44597	3630
სულ ვალდებულებები	4780549	4296069	1272494
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2081640	798849	545216
გადაფასების რეზერვი	33075	22140	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2114715	820989	545216
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6895264	5117058	1817710
სულ მოკლევადიანი აქტივები	5885998	4033748	1086473
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4780549	4296069	1272494

დირექტორი

ბუღალტერი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	**31/12/2020**	**31/12/2019**
საქონლის გაყიდვიდან	8886188	4087385
მომსახურების გაწევიდან	0	210477
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	8886188	1224444
სხვა	0	2652464
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	-4600517	-1651977
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	0	0
სხვა საოპერაციო შემოსავალი	4285671	2435408
დასაქმებულთა ანაზღაურება	0	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-2456409	-1816586
საპროცენტო შემოსავალი	-126517	-90433
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-49698	-66700
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-48516	-42934
სულ საოპერაციო ხარჯები	-379620	-168920
საოპერაციო მოგება	-3060760	-2185573
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	1224911	249835
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-4015	0
მიღებული დივიდენდები	29767	3100
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	32128	698
მოგების გადასახადის ხარჯი	1282791	253633
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	1282791	253633
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	10935	22140
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	10935	22140
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1293726	275773
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	820989	545216
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	0	0
	2114715	820989